მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

ნოემბერი, 2022

ძირითადი ცვლილებები

- 2022 წლის ოქტომბერში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 8.3 პროცენტი, ხოლო 2022 პირველი 10 თვის საშუალო ზრდამ შეადგინა 10 პროცენტი

- ნოემბერში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 10.4 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 7.1 პროცენტს

- ოქტომბერში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 9.2 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 20.1 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 28.6 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 675.7 მლნ აშშ დოლარს

- ოქტომბრის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გამყარდა 20.9 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 2.6 პროცენტით წინა თვესთან

- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11.0 პროცენტზე დატოვა

ოქტომბერში ეკონომიკურმა ზრდამ 8.3 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ



- წინასწარი შეფასებით, 2022 წლის ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 8.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო იანვარი-ოქტომბრის საშუალო მაჩვენებელი 10.0 პროცენტია.
- 2022 წლის ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, სასტუმროები და რესტორნები, ხელოვნება, გართობა და დასვენება.
- კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობისა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების დარგებში.

ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



ეკონომიკური ზრდა 2022-2019



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2022 წლის მესამე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 9.7 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2022 II კვარტალი



მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2022 II კვარტალი



წყარო: საქსტატი

- წინასწარი შეფასებით, 2022 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკა 9.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მეორე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 7.2 პროცენტით, რაც 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 18.0 პროცენტიან ზრდას გულისხმობს.
- 2022 წლის მეორე კვარტალში ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება: 72.6% წ/წ (1.7 პ.პ.)
  - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 35.4% წ/წ (1.4 პ.პ.)
  - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები: -26.8% წ/წ (0.2 პ.პ.)
  - ტრანსპორტი და დასაწყობება: 26.4% წ/წ (0.2 პ.პ.)
  - სამთომოპოვებითი მრეწველობა: 15.5% წ/წ (1.6 პ.პ.)
  - შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები: 11.0% წ/წ (0.02 პ.პ.)
  - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა: 10.1% წ/წ (0.01 პ.პ.)
  - განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები: 9.0 წ/წ (0.9 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: -9.1 წ/წ (-1,1 პ.პ.)
  - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები: -13.9 წ/წ (-0.8 პ.პ.)

ნოემბრის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 10.4 პროცენტი

მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ



ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 28.6 პროცენტით

ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ



იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



- ოქტომბერში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 9.2 პროცენტით და გაუტოლდა 448.8 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 8.8 პროცენტით და გაუტოლდა 290.3 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 20.1 პროცენტით და გაუტოლდა 1,124.4 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 28.6 პროცენტით და გაუტოლდა 675.7 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 16.5 პროცენტი (72.7 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიტანა -10.2 პროცენტიანი წვლილი (-25.1 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა 9.3, 4.5 და 6.3 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საერთაშორისო ვაჭრობა ხასიათდება სტაბილური დივერსიფიკაციით

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, ოქტომბერი



- ექსპორტის ტოპ საქონელი:
  - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 88.8 მლნ აშშ დოლარი - 19.8 პროცენტი.
  - მსუბუქი ავტომობილები: 70.8 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 15.8 პროცენტი.
  - ყურძნის ნატურალური ღვინოები: 27.5 მლნ. აშშ დოლარი - 6.1 პროცენტი.

- იმპორტის ტოპ საქონელი:
  - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 113.7 მლნ აშშ დოლარით - 10.1 პროცენტი.
  - მსუბუქი ავტომობილები: 98.4 მლნ. აშშ დოლარი - მთელი იმპორტის 8.8 პროცენტი.
  - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 54.9 მლნ აშშ დოლარით - 4.9 პროცენტი.

- ექსპორტის ტოპ ქვეყნები:
  - რუსეთი: 57.1 მლნ. აშშ დოლარი, 12.7 პროცენტი.
  - სომხეთი: 55.4 მლნ. აშშ დოლარი - 12.3 პროცენტი.
  - აზერბაიჯანი: 53.1 მლნ. აშშ დოლარი, 11.8 პროცენტი.

- იმპორტის ტოპ ქვეყნები:
  - თურქეთი: 233.2 მლნ. აშშ დოლარი - 20.7 პროცენტი.
  - რუსეთი: 172.3 მლნ. აშშ დოლარი - 15.3 პროცენტი.
  - ჩინეთი: 91.3 მლნ. აშშ დოლარი - 8.1 პროცენტი.

იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %

იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ოქტომბერი



წყარო: საქსტატი

ტურიზმის აღდგენა გრძელდება და ოქტომბერში მიაღწია 2019 წლის 126.4%-ს

ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, 2019 = 100



ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, ოქტომბერი 2022

ქვეყანა	ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)
რუსეთი	114.5
ევროკავშირი + დიდი ბრიტანეთი	33.7
თურქეთი	33.6
უკრაინა	29.3
ისრაელი	27.7
ბელარუსი	12.3
სხვა	86.2

- 2022 წლის ოქტომბერში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 137.1 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 337.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მაღალი ზრდა განპირობებულია 2021 წლის ოქტომბრის დაბალი მაჩვენებლით (142.3 მლნ აშშ დოლარი).

- რეგიონსა და ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების გამო, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 2019 წლის მნიშვნელობას აჭარბებს. კერძოდ, 2019 წლის ოქტომბერთან შედარებით, 2022 წლის ოქტომბერში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაზრდილია 26.4 პროცენტით.

- სეზონურად მოსწორებული ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის თვიური ზრდა ოქტომბერში გაუტოლდა -12.0 პროცენტს.

ტურიზმის აღდგენა ქვეყნების მიხედვით, 2019 წლის შესაბამისი თვე = 100, %



წყარო: სებ

რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების შედეგად იზრდება ფულადი გზავნილები

წმინდა ფულადი გზავნილები, 2022-2019



წმინდა ფულადი გზავნილები, ოქტომბერი 2022

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, პპ
რუსეთი	296.5	945.2	152.0
იტალია	34.9	7.7	1.4
აშშ	28.3	22.1	2.9
საბერძნეთი	17.3	-3.6	-0.4
ისრაელი	15.9	7.4	0.6
ყაზახეთი	7.0	7.4	0.3
სხვა	70.7	32.9	9.9

- 2022 წლის ოქტომბერში, წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 470.6 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 166.8 პროცენტით მეტია, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი 259.9 პროცენტით.
- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
  - რუსეთი: 945.2 პროცენტი (152.0 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - გერმანია: 39.4 პროცენტი (2.3 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - აშშ: 22.1 პროცენტი (2.9 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - იტალია: 7.7 პროცენტი (1.4 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
  - საბერძნეთი -3.6 პროცენტი (-0.4 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



წყარო: სებ

ოქტომბერში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წლიურად 20.9 პროცენტით გამყარდა

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში



შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

	30 ნოემბერი, 2022	30 ნოე 2022 - 1 იან 2022	30 ნოე 2022 - 1 იან 2021
ევრო	2.8196	▲ 14.0%	▲ 8.5%
აშშ დოლარი	2.7153	▲ 5.6%	▼ -1.6%
თურქული ლირა	0.1457	▲ 230.6%	▲ 246.9%
რუსული რუბლი	0.0445	▲ 3.6%	▼ -13.8%
ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი	137.07	▲ 4.5%	▲ 23.9%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (ოქტომბერი 2022)	143.65	▲ 14.1%	▲ 36.9%

წყარო: სებ

ნოემბერში საგადასახდო შემოსავლები 18.6 პროცენტით აღემატება პროგნოზს

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, ნოემბერი 2022



ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ



ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი



- 2022 წლის ნოემბერში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,747 მლნ ლარი, რაც 18.6 პროცენტით მეტია დაგეგმილ მაჩვენებელზე - 1,473 მლნ ლარზე.
- 2022 წლის ოქტომბერში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 35.3 პროცენტით, ხოლო ხარჯები 9.8 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 299.8 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა 25.7 მლნ ლარით.
- 2022 წლის ოქტომბერში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დღგ-დან მიღებულმა შემოსავალმა 12.4 პროცენტიანი კონტრიბუციით მთლიან ზრდაში.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ განიცადა მცირე ცვლილება

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით



- 2022 წლის ნოემბერში ჩატარდა 5 აუქციონი ჯამური გამოშვებით 335.134 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.157% შეადგინა..
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2, 5 და 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 400 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.
- 2022 წლის 30 ნოემბრისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 18.77% ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში.
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (ოქტომბერი 2.09) შედარებით გაიზარდა და 2.14 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ლარიზაციის მაჩვენებლები განაგრძობს ზრდას

სესხების ლარიზაცია





დეპოზიტების ლარიზაცია





- 2022 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 56.2 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 70.8 პროცენტი.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 38.4 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 41.7 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 57.6 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 27.1 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 50.7 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 39.2 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 33.0 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სებ

სესხების წლიური ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება

სესხების წლიური ზრდა



სესხების წლიური ზრდა



უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, %წ/წ



- 2022 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, 2021 წელის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 11.0 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 4.5 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 16.9 პროცენტს შეადგენს.
- 2022 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 20.4 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 0.8 პროცენტს გაუტოლდა.
- 2022 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 11.2 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 19.1, ხოლო იპოთეკური სესხები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული 5.5 პროცენტით გაიზარდა.

წყარო: სებ

უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა კვლავ სტაბილურად მაღალია







- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2022 წლის 1 ნოემბრის 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26.0 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 28.1 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 24.6 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 25.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 25.6 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2022 წლის ნოემბრის დასაწყისში შეადგინა 28.9 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 13.0 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 43.6 პროცენტი.

წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11 პროცენტია

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2022 წლის 26 ოქტომბერს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 11.0 პროცენტზე დატოვა.

- სებ-ს მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში ინფლაციური წნეხი კვლავ მაღალია, რასაც წამყვანი ცენტრალური ბანკები გამკაცრებული ფინანსური პირობებით პასუხობენ. აღნიშნული მსოფლიო ეკონომიკური ზრდის მოლოდინებს აუარესებს და სტაგფლაციის რისკებს წარმოქმნის. საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი გაიარა, თუმცა ჯერ კიდევ მაღალ დონეზეა და ნოემბერში წლიური 10.4 პროცენტი შეადგინა. ბოლო დროს საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე პოზიტიური ტენდენცია შეინიშნება - პროდუქტების ფასები და საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულება მცირდება. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ მაღალ დონეზეა, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის საერთაშორისო ფასების ინდექსი ზედიზედ 6 თვეა იკლებს.

- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2022 წლის 21 დეკემბერს ჩატარდება.

- 2022 წლის ნოემბერს ეროვნულ ბანკს სავალუტო ინტერვენციები არ განუხორციელებია

წყარო: სებ

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ვალუტით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით შემცირდა

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე





- 2022 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 10.9 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 11.1 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 1.6 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.5 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.6 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.4 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 19.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.8 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.8 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 18.1 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 66.4 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2022 წლის ნოემბრის ბოლოს 14.1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 6.9 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 6.1 პროცენტი.

წყარო: სებ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16
ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407
ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო